

## განმარტებითი ბარათი

### კანონის პროექტზე:

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ

უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

ა)ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქის მიერ პასპორტის მიღების მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას. აღსანიშნავია, რომ ამავე კანონის 20<sup>1</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „სხვა სახელმწიფოში მყოფ საქართველოს მოქალაქეებზე პასპორტს გაცემის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება“, ხოლო თუ რა დოკუმენტები უნდა იყოს წარდგენილი ამ დაწესებულებებში საქართველოს მოქალაქის მიერ პასპორტის მისაღებად არ არის დადგენილი.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია, „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული ხარვეზის გამოსწორება და საგარეო საქმეთა სამინისტროში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა ან საკონსულო დაწესებულებაში პასპორტის მისაღებად წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხის განსაზღვრა.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ადგენს საქართველოს მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ პასპორტის მიღების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსში, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობასა ან საკონსულო დაწესებულებაში წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხას.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მოძიებას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მრდას.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღებით გამოწვეული არ იქნება ფინანსური ცვლილებები იმ პირთათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის, ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებებს, ექსპერტებს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების დასკვნა.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტი მომზადებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს მთავრობა.